პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 173 (5982)

1977 წ. 3 სექტემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრეტენდენტთა ნახევარფინალური

პირველი პარტია

ტალინი, 1 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ოფიცერთა სახლში სტარტი აიღო ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურმა მატჩმა საერთაშორისო დიდოსტატ ე. ახმილოვსკაიასა და საერთაშორისო ოსტატ მ. ჩიბურდანიძის (ორივე — სსრ კავშირი) შორის. მეტოქეებმა გაითამაშეს პირველი პარტია.

ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. a4 g6 7. f4 კg7 8. მf3 0—0 9. კd3 მc6 10. 0—0 კg4 11. h3 კ:f3 12. ლ:f3 მb4 13. ეf2 ლc7 14. კd2 მd7 15. მფh1 მc5 16. f5 ეad8 17. ეaf1 ლd7 18. კg5 მc:d3 19. cd ეc8 20. ლg3 ეc7 21. ეf3 ეc5 22. ლh4 ეc7 23. ლf2 ეc5 24. d4 ეcc8 25. ლh4 ეc7 26. e5 gf 27. კh6 f6 28. ე:f5 de 29. de მd5 30. მ:d5 ლ:d5 31. კ:g7. შავებმა დროს გადააცილეს და მათ წაგება ჩაეთვალათ.

თავიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სიცილიურ დაცვას მძაფრი შეხლა-შემოხლა მოჰყვებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ახმილოვსკაიამ მეფის ფრთაზე პაიკებით იერიშის საშუალება მიიღო. ამ მუქარას შავები ჩვეულებრივ უპირისპირებენ კონტრთამაშს ცენტრში. როცა მეტოქეებმა ფიგურების განვითარება დაასრულეს, ახმილოვსკაიას განზრახვამ ხორცი შეისხა. მან შეუტია შავი გვირგვინოსნის პოზიციას. თამაში უკიდურესობამდე დაიძაბა.

ბევრს მიაჩნდა, რომ სწორედ ამ დროს (მე-16 სვლა) მაიამ უზუსტოდ ითამაშა. პრეს-ცენტრში გამოითქვა აზრი, რომ ქართველ მოჭადრაკეს ხელი უნდა აეღო d პაიკის წინსვლის მომზადებაზე, რადგან ამ შემთხვევაში იგი ვერ გაანელებდა თეთრების იერიშს და მხედრის e5-ზე გადაყვანით გაემაგრებინა საკუთარი მეფის მისადგომები. მერე მაიაც დარწმუნდა, რომ ცენტრალური პაიკის ამოძრავება მას არ გამოადგებოდა, ამიტომ იძულებული შეიქმნა მეტოქის კონკრეტული მუქარის მოგერიებით დაკმაყოფილებულიყო. ქართველი მოჭადრაკე უმძიმეს ცაიტნოტში მოექცა.

ახმილოვსკაიამ საუკეთესოდ განალაგა ფიგურები შავი მეფის პოზიციის დასალაშქრად. მის იერიშს შეიძლება რეალური არაფერი მოჰყოლოდა, მაიას თავის დროზე h4 მხედარი რომ დაეცვა პაიკით. სწორედ ამ მხედრის დაუცველობით ისარგებლა დიდოსტატმა, როცა 26-ე სვლაზე პაიკი დაძრა საიერიშოდ. ამის შემდეგ ხსნა აღარ ჩანდა.

უკვე უიმედო მდგომარეობაში ჩიბურდანიძეს საათზე ალამი ჩამოუვარდა. არსებული წესის შესაბამისად მას წაგება ჩაეთვალა.

ჭადრაკი

ყოჩაღი ნანა

ყველა ახალგაზრდა მოჭადრაკეს უყვარს თამაში. ნ. იოსელიანიც ხალისით მონაწილეობს შეჯიბრებებში. მაგრამ 15 წლის ოსტატი წინაც იყურება. მან კარგად იცის, რომ ყველა მოჭადრაკისთვის დიდი სკოლაა ტურნირთა ტურნირში — სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობა. ამიტომ იყო, რომ ნიჭიერმა გოგონამ რუმინეთის გოგონათა საერთაშორისო ტურნირში თამაშს საკავშირო ჩემპიონატის პეტროზავოდსკის ნახევარფინალში პაექრობა ამჯობინა.

ფინალის საგზურისთვის ნორჩი მოჭადრაკე ისეთი თავგამოდებით იბრძოდა, რომ ფინიშთან პირველი მიიჭრა. ნანამ უკან ჩამოიტოვა დიდოსტატი ტ. ზატულოვსკაია, საერთაშორისო ოსტატები ო. იგნატიევა (ორივე — მოსკოვი), ტ. ფომინა (ტალინი) და ბევრი ცნობილი ოსტატი, მან ფარ-ხმალი დააყრევინა 8 მეტოქეს, ექვსს დაუზავდა და მხოლოდ ერთხელ შეურიგდა საკუთარი მეფის დატყვევებას.

ნანამ მიზანს მიაღწია: იგი მეორედ ითამაშებს სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალში, რომელიც დეკემბრის დასაწყისში ლვოვში გაიმართება. ვულოცავთ მას ამ დიდ წარმატებას.

თ. გიორგაძე.

სურათზე: ნანა იოსელიანი.

ი. იუნაევის ფოტო.

„ლელოს" საგუშაგო

თბილისის საცურაო აუზი

სპორტული ბაზების მშენებლობა № 1 პრობლემა

მაამებლობის ატმოსფეროში

თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მშენებარე საცურაო აუზის მშენებლობაზე ჩვენი საგუშაგოს უკანასკნელი მასალის გამოქვეყნების შემდეგ თითქმის თვე გავიდა. ეს საკმაო დროა იმისთვის, რომ დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპორტული ობიექტის მშენებლობაზე ბევრი რამ შეცვლილიყო.

საწყლოსნო სპორტის მოყვარულები ამ ბაზას მოუთმენლად მოელიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ მის ოთხ აბაზანაში დღეში 500 ბავშვი ივარჯიშებს, დავრწმუნდებით ამ ნაგებობის მწყობრში ჩადგომით რამდენად გაუმჯობესდება ცურვის სწავლების საქმე თბილისში. რაც მთავარია, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის საქართველოს მოცურავეების, წყალში მხტომელებისა და წყალბურთელების მომზადებაში მან გარკვეული, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოს.

რა გაკეთდა აქ ამ ერთი თვის მანძილზე?

მშენებლებმა დაიწყეს წყალში სახტომი აბაზანის აგება, მაგრამ ტემპი მოთხოვნებს ვერ უპასუხებს. **იმის გამო, რომ ბეტონისა და საჭირო არმატურის მიწოდების გრაფიკს ვერ იცავენ. მარტო ფსკერის დაბეტონებას 3-ის მაგიერ 8 დღე მოანდომეს.** ამ აბაზანის მოწყობას ისიც აფერხებს, რომ ყალიბებისთვის არ ჰყოფნით ხის მასალა. როგორც აუზის დირექტორმა, მშენებლობის ტექნიკურმა ზედამხედველმა **ვ. გოიაშვილმა** გვითხრა, საჭიროა სულ ცოტა 20-25 კუბმეტრი ფიცარი, **რომლის გამოყოფისთვისაც ქალაქის საბჭოს აღმასკომის მთავარი მომარაგების სამმართველო ნაკლებად ირჯება.**

გრძელდება ტრიბუნების აგება. უკვე მზად არის 4 რიგელი, სამზე დაწყობილია საჯდომების პლინტუსები.

დაიწყო სარეაბილიტაციო ცენტრის რეკონსტრუქცია. თავდაპირველი პროექტით მისი მოწყობა აქ არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ სპეციალისტებისა და შემკვეთის მოთხოვნით „ქალაქპროექტის" მე-4 სახელოსნომ სათანადო ცვლილებები შეიტანა პროექტში. უკვე მოიხსნა ტიხრები და ოსტატები საქმეს შეცვლილი პროექტით შეუდგნენ.

აუზზე მოვიდა „საქსანტექმონტაჟის" თბილისის სამმართველოს ბრიგადა, მაგრამ მისი მუშაობის ტემპი არადამაკმაყოფილებელია.

აუზის მშენებლობის შტაბის 9 აგვისტოს სხდომამ „საქელექტრომონტაჟს" **(ვ. გუგულაშვილი)** დაავალა ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოებს 12 აგვისტოდან შედგომოდა. **სამწუხაროდ, დღემდე მათგან კაციც არ გამოჩენილა.**

აუზის ტრიბუნები თანდათან აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისკენ მიიწევენ. მლესავები საქმეს შეუდგნენ — მზადდება ფრონტი „ცენტრომეტალურგრემონტის" რუსთავის სამმართველოს სპეციალისტებისთვის, რომლებმაც აქ ჰიდროიზოლაციაზე უნდა იმუშაონ. პრესკორპუსის წინ მონაწილეებისთვის დასაჯდომები იგება. სულ ობიექტზე განვლილი თვის მანძილზე 70 ათასი მანეთის სამუშაოს შესრულება იყო დაგეგმილი, მაგრამ...

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც აქ თვეზე მეტს მუშაობდა, უკვე წავიდა (განსაკუთრებით ისახელეს თავი გ. ბერაძემ, ო. თუთბერიძემ, გ. ეჯიბიამ, მ. გაჩეჩილაძემ, ვ. კორხოვმა, ნ. გაგუამ, გ. ხოშტარიამ, მ. დათიაშვილმა, ვ. ყარსიმაშვილმა, ნ. კენჭაძემ, ვ. გერგედავამ, თ. წიკლაურმა, ზ. რამიშვილმა და თ. ერქვანიამ), **ამ კომკავშირულ მშენებლობაზე მათი შემცვლელი კი ჯერჯერობით არ ჩანს.**

საქართველოს სპორტკომიტეტმა გადაწყვიტა მშენებლობას კვირაობით ქალაქის ორგანიზაციები დაახმაროს. პირველი შაბათობა 4 სექტემბერს მოეწყობა. ეს კარგია, მაგრამ თვით **„ინჟმშენს"** და ქვემოიჯარეებს ზოგი რამ მოსაგვარებელი აქვთ. ტექნიკა ხშირად ცდება. მაგალითად, **შაბათს მოსული ბულდოზერი მუშაობას სამშაბათს, დაგვიანებით შეუდგა, „ინჟმშენის" ავჭალის ბეტონის ქარხანა მშენებლობას ბეტონითა და ხსნარით კვლავ ცუდად ამარაგებს. იგი ზუსტად არასდროს ასრულებს დაკვეთას — ხშირად ქარხნიდან ბეტონს 3-4 საათის დაგვიანებით იღებენ,** ეს კი მუშა-ხელს აცდენს. ზოგჯერ პირიქითაც ხდება, ერთდროულად 3-4 მანქანა მოდის, რის გამოც ათვისება ფერხდება, — ბეტონი ცივდება და ხარისხს კარგავს. მაგალითად, გასულ სამშაბათს ბეტონიანი პირველი მანქანა 11 საათზე მიიღეს, ხსნარი — უფრო გვიან.

კვლავ მწვავედ განიცდიან 18, 20, 40 მმ დიამეტრის არმატურის ნაკლებობას. **ზოგჯერ არც „ინჟმშენის" № 2 საწარმოო კომბინატის გამოგზავნილი მზა პროდუქციაა ხარისხიანი, მაგრამ მშენებლებს აიძულებენ უხარისხო ნაწარმიც გამოიყენონ (?!). ცხადია, № 2 საწარმოო კომბინატში პროდუქციის კონტროლს სათანადო ყურადღება არ ეთმობა.**

— დღეს პირველ ცვლაში 40 კაცი მუშაობს. ეს ძალიან ცოტაა. თუ ასე გაგრძელდა, აუზს საექსპლოატაციოდ გაისადაც ვერ გადავცემთ, — გვითხრა ბოლოს ვ. გოიაშვილმა.

ცხადია, აუზის მშენებლობაზე „უწყინარი" ატმოსფერო ბატონობს: მოიჯარე და ქვემოიჯარენი, ხელშემწყობი ორგანიზაციები ცდილობენ ერთმანეთს სიმართლის თქმით არ აწყენინონ. ეს კი საერთო საქმეს ვნებს.

ო. გელაშვილი.

დავობენ მხედრები

ჟენევა, 1 სექტემბერი. შვეიცარიის ქალაქ სან-ჰალენში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში (ცხენის გახედნა), რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა მხედრებიც. გათამაშდება ოთხი პრიზი: დაწყებული „სან-გეორგიდან" „დიდი პრიზის" ჩათვლით. „სან-გეორგი" მოიპოვა დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა უვე ზაუერმა, რომელმაც 1415 ქულა მოაგროვა. მეორე იყო ოლიმპიადაში გამარჯვებული კრისტინა შტიუკელბერგერი (შვეიცარია) — 1346, რომელსაც ამჯერად თავისი ძირითადი ცხენი „გრანატით" არ უასპარეზია.

ცხენოსნობა

საბჭოთა ცხენოსნებიდან თავი გამოიჩინა მოსკოველმა მიხეილ კოპეიკინმა, რომელიც აგრეთვე, სათადარიგო ცხენით „ასპექტით" გამოვიდა. მისი შედეგია 1232 ქულა (VI ადგილი). (საკდესი).

სპორტკლუბების საკავშირო

ცურვა

ნოვოპოლოცკში თავი მოიყარა სპორტკლუბების 23 კოლექტივმა, რომელთა შორის თბილისის თეთრეულის სამკერვალო ფაბრიკის გუნდი „ფეიქარიც" იყო. მან საბოლოოდ 222 ქულა მოაგროვა და XII ადგილზე გავიდა. ყველას აჯობა ლენინგრადის „ეკრანმა" — 540 ქულა. II ადგილზეა „მოსკვიჩი" — 529, III ადგილი ხვდა უკრაინის „მეტეორს" — 488.

„ფეიქარის" სპორტსმენებიდან თავი გამოიჩინა ამას წინათ ჰავანაში გამართულ „მეგობრობის" ტურნირში გამარჯვებულმა გ. არზუმანოვმა, მან ვაჟთა შორის ბატერფლაით 100 და 200 მეტრზე, აგრეთვე 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში შესაბამისად 1.01,8, 2.14,6 და 2.19,8 აჩვენა და 17-17 ქულა მიიღო. ბატერფლაით მას ორივეჯერ ა. დრემონმა („სელმაშოვეცი", ფრუნზე) აჯობა.

ქალთა შორის „ფეიქარს" ყველაზე მეტი ქულები მოუპოვეს ს. სოვდაგრიშვილმა (200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.41,5) და მ. კუჭუხიძემ (ამავე დისტანციაზე გულაღმა ასპარეზობაში — 2.41,9).

ძალოსნობა

83 ოსტატი გამოვიდა ჩერეპოვეცის ფიცარნაგზე. მათ შორის ორი დამსახურებული და სამი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია. სპორტკლუბების საკავშირო სპარტაკიადის არც ერთ სხვა სახეობაში არ უასპარეზიათ ასეთი მაღალი კლასის სპორტსმენებს. განსაკუთრებით ბევრი მონაწილე შეგროვდა 60,75 და 82,5 კგ წონით კატეგორიებში საასპარეზოდ.

60 კგ წონის ათლეტთა შეჯიბრებაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა და ექს-რეკორდსმენმა დ. შანიძემ მეტოქენი ყველა მოძრაობაში დაამარცხა, საბოლოო ჯამში 242,5 კგ მოაგროვა და I ადგილი მოიპოვა. ზ. ნადირაშვილი (ზემძიმე წონა) V ადგილზე გავიდა — 305 კგ. ა. ჩიტიძემ (75 კგ) 33 სპორტსმენთან დავაში 272,5 კგ-ით X ადგილი დაიკავა, რ. ტონოგანიანმა (82,5 კგ) კი 23 მოწინააღმდეგე დაამარცხა. მან 292,5 კგ მოაგროვა, მაგრამ საბოლოოდ XII ადგილს მაინც ვერ ასცდა, თუმცა სპორტის ოსტატის შედეგის ჩვენებისთვის დამატებით 5 ქულა მიიღო და გუნდს 12 ქულა შემატა.

სპორტკლუბი „უშბა" საერთო გუნდურ ჩათვლაში 96 ქულით VI ადგილზეა (გაიმარჯვა მაკეევკის „ზარევომ" — 166 ქულა).

თბილისელები უფრო მაღალ ადგილსაც დაიმსახურებდნენ, მაგრამ 90 კგ წონით კატეგორიაში სპორტის ოსტატობის კანდიდატი თ. ბაქანიძე, აკვრის (86,5 კგ) შემდეგ, ავადმყოფობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა. 56 კგ წონაში გუნდის ერთ მონაწილესაც არ უასპარეზია.

ტრადიციული გამარჯვება

ვენესუელაში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობა ველოსპორტში. სან-კრისტობალის ტრეკზე გამოდევნებით გუნდური რბოლის ფინალში, გდრ-ის კვარტეტმა მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონს — გფრ-ის გუნდს და I ადგილი დაიკავა. გამარჯვებულის დროა 4.21,34. გფრ-ის გუნდმა აჩვენა 4.29,09.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა (ვ. ოსოკინი, ა. პეროვი, ვ. პეტრაკოვი და ვ. ერლიხი) ნახევარფინალში წააგო გფრ-ის გუნდთან, III ადგილისთვის ბრძოლაში კი — შვეიცარიის ველოსიპედისტებთან, და IV ადგილს დასჯერდა.

სამაგიეროდ, საბჭოთა სპორტსმენებმა საგზატკეცილო რბოლაში იმარჯვეს. დაყოფილი სტარტით 100 კილომეტრზე შეჯიბრებაში ჩვენმა კვარტეტმა (ა. ჩუკანოვი, ვ. ჩაპლიგინი, ა. პიკუსი და ვ. კამინსკი) ძირითადად პოლონეთისა და იტალიის გუნდებთან ბრძოლაში, გაიმეორა 1970 წლის (ლესტერი) მსოფლიო ჩემპიონატის, მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადების წარმატება.

ველოსპორტი

50-დან 75-ე კილომეტრამდე მოულოდნელად იტალიელთა ახალგაზრდა გუნდი დაწინაურდა. ისინი ოლიმპიურ ჩემპიონებს ნახევარ წუთამდე უგებდნენ, მაგრამ შემდეგ ჩვენებმა ტემპს მოუმატეს და საბოლოოდ 2 წუთითა და 28 წამით აჯობეს იტალიელებს, რომლებმაც ვერცხლის მედლები მოიგეს. პოლონელები ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

ეს რბოლა გაიმართა სან-კრისტობალიდან 113 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ფრიას მიდამოებში.

გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

ტურისტის ფურცელი № 7

●

☐ თუ „დედა-ენა" გსურს დაინახო...

☐ მყინვარწვერის ფერისცვალება

☐ სამების მთა ელის საგმირო გზას

☐ „თერგი რბის, თერგი ღრიალებს"...

მთიულეთსა და ხევზე გავლით...

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოგზაურობას, ლაშქრობასა და ექსკურსიებს მომავალი თაობის აღზრდაში. ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი პირობები ხომ პირდაპირ „ზედგამოჭრილია" სპორტის ისეთ სახეობათა ფართოდ განვითარებისთვის, როგორიცაა მთამსვლელობა და ტურიზმი. კარგია, თუ ადამიანი ბავშვობაშივე გაეცნობა მთას, მთის რელიეფსა და ყინულოვანი ქედების სილამაზეს. ეს მიზანი დაუსახავს განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო ტურისტულ სადგურს, ბ. ძნელაძის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, თბილისის განათლების განყოფილების მოზარდ მთამსვლელთა სპორტულ სკოლას, ცალკეულ სექციებს, მაგალითად, მესტიაში ახლახან ჩამოყალიბებულ კლდეზე მცოცავთა სექციას და სხვ.

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩმა მთამსვლელებმა ზაფხულის არდადეგების დღეებში ლაშქრობა მოაწყეს ყაზბეგის რაიონში. ექსპედიცია დევიზით „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა" მიეძღვნა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

დღეს სწორედ ამ მარშრუტების შესახებ გვინდა გიამბოთ.

საქართველოს სამხედრო გზა თავისი ისტორიული ძეგლებითა და თვალწარმტაცი პეიზაჟებით ბევრ მოგზაურობის მოყვარულს იზიდავს. გზა მთიულეთსა და ხევზე გადის. მრავალი ტურისტული მარშრუტი იღებს აქ სათავეს. საქართველოს სამხედრო გზას თავს დაჰყურებს მეშვიდე საუკუნის ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ძეგლი — მცხეთის ჯვარი. მოპირდაპირე მხარეს კი მნახველის თვალს იტაცებს საქართველოს უძველესი ქალაქი მცხეთა, სვეტიცხოველი და სამთავრო. სოფელ წიწამურს, საგურამოსკენ მიმავალ გზას გვერდს აუვლი და თეთრი ობელისკიც გამოჩნდება — ადგილი, სადაც მოკლეს დიდი ილია. საქართველოს სამხედრო გზა მდინარე არაგვის ხეობაში გადის. ლამაზია მთის ფერდობებზე შეფენილი მთიულეთის სოფლები. ჟინვალთან დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. შორიდანვე ნათლად მოჩანს ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, უზარმაზარი გალავნითა და კოშკებით — არაგვის ერისთავთა რეზიდენცია XVII — XVIII საუკუნეებში. თბილისიდან 90 კილომეტრით არის დაშორებული ფასანაური. აქ ერთვის შავი არაგვი თეთრ არაგვს.

იწყება 28-კილომეტრიანი გუდამაყრის ხეობა, რომელიც კავკასიონის ქედამდე, ბურსაჭირის უღელტეხილამდე მიდის. არაგვის ხეობის სოფელ მლეთაში წინათ მგზავრები ღამეს ათევდნენ, ცხენებს ცვლიდნენ. მლეთიდან იწყება საქვეყნოდ ცნობილი ჯვრის უღელტეხილის აღმართი. კაიშაურის ველი (მომავალი სპორტული ცენტრი). ალპური ბალახით დაფარული ფერდობები. მანქანა ზევით და ზევით მიიწევს. გადასახედიდან ვერცხლისფერ ზოლად მოჩანს თეთრი არაგვი, რომელიც დასაწყისს თქვენს წინ აღმართულ მწვერვალ ნეფისკალოდან იღებს. აღმართზე უკანასკნელი სოფელი გუდაურია, შემდეგ გზის უმაღლესი წერტილი — ჯვრის უღელტეხილი.

მთებს ლურჯი ფერი დაჰკრავთ, ნისლის თხელ საბურველში გახვეულნი თითქოს ცაში არიან დაკიდული. ხევებში შარშანდელ თოვლს დადნობა ვერ მოუსწრია. აქვეა მწვერვალი „დედაენა". შემოდგომით აქ მოსწავლეთა ალპინიადის ჩატარებაა განზრახული. საქართველოს სამხედრო გზა ახლა უკვე კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ეშვება. ეს კი ხევია — ყაზბეგის რაიონი. წინ კობის ქვაბულია, თვალწინ იშლება თერგის ხეობა.

მდინარე თერგი სათავეს მწვერვალ ზილგა-ხოხში იღებს. 31-კილომეტრიანი თრუსოს ულამაზესი ხეობიდან ჩრდილოეთ ოსეთში თრუსოს უღელტეხილით შეიძლება გადასვლა. სოფელ კობთან მდინარე თერგი მიმართულებას იცვლის და ჩრდილოეთისკენ მიემართება. ყაზბეგის რაიონი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე მესაქონლეობის რაიონია. ხევის სოფლებია: კობი, ყანობი, გორის ციხე და სხვ. ზედ გზაზე გადმომდგარა მთის ქიმი, რომელზედაც სიონის სათვალთვალო კოშკი და ბაზილიკაა (IX ს.) აღმართული. მას თავს დაჰყურებს ძალზე ლამაზი კლდოვანი მწვერვალი ქაბარჯინა, რომელიც ზღაპრულ ქაჯთა სამყოფელს მოგვაგონებს. ეს მწვერვალი იშლება და დღეისთვის საშიშია მასზე ასვლა.

ქაბარჯინას პირველი დამპყრობი ჩვენი გამოჩენილი მთამსვლელი ა. ჯაფარიძე იყო. პირველი მასობრივი ასვლა 1970 წელს განახორციელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საზოგადოება „პედაგოგის" მთამსვლელთა ჯგუფმა.

ქაბარჯინას ქედის ძირში სოფელი სიონია, სიონის გაგრძელებაზე — სოფ. გარბანი და არშა, სადაც ამჟამად რესპუბლიკური ტურისტული საბჭოს ბაზაა. არშიდან რაიონულ ცენტრამდე — ყაზბეგამდე 5 კილომეტრია. აქვე იწყება ულამაზესი სნოს ხეობა.

დაბა ყაზბეგი ყუროს კლდოვანი ქედის ძირშია გაშენებული, მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირას. მის წინ აღმართულია „ხევის პატარძალი" — კავკასიონის მშვენება მყინვარწვერი (ზღვის დონიდან 5043 მ.). იგი სირთულით მეორე კატეგორიისა, თუმცა აქვს მესამე და მეოთხე კატეგორიის მისასვლელებიც. მთაზე პირველად ავიდა მეცნიერი და მთამსვლელი დუგლას ფრეშფილდი (1868 წ), შემდეგში გამყოლების მეშვეობით — რუსი და უცხოელი მთამსვლელებიც იყვნენ აქ. 1901 წელს მყინვარწვერზე ავიდა პირველი ქალი, პედაგოგი მარიამ პრეობრაჟენსკაია, 1910 წელს — სერგეი კიროვი. მხოლოდ 1923 წელს პროფესორ გიორგი ნიკოლაძის სპორტულმა ჯგუფმა და დიდებულიძის სამეცნიერო ექსპედიციამ განახორციელა მყინვარწვერზე პირველი ასვლები დევდორაკის მყინვარიდან. ამით საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა მთამსვლელობას. ყაზბეგში ბევრი რამ არის სანახავი. ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ნაგებობანი, კოშკები და ფიქალით ნაგები სახლები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ალპინარიუმი. ყაზბეგაანთ საგვარეულო სასახლეში მოთავსებულია ალ. ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ალ. ყაზბეგის ძეგლი და საფლავი.

ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტი იყო სოფელი ცდო და მადალესის მთა. თან გვახლდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ლადო წიკლაური. სოფელ ცდოში ვნახეთ პროფესორ ა. დიდებულიძის ექსპედიციის მეგზურის, გამოჩენილი მთამსვლელის გახა წიკლაურის სახლი, ამ სოფლიდან იყო მეორე ცნობილი გამყოლიც მიხეილ მაგაშვილი. თვით ცდოდან შესანიშნავი გადმოსახედია დარიალის ხეობაზე. სოფელ ცდოს თავს დაჰყურებს მადალესის მთა (ზღვის დონიდან 2850 მეტრი).

საბჭოთა მთამსვლელობის ისტორიაში კარგადაა ცნობილი ყაზბეგის მკვიდრის იაგორ კაზალიკაშვილის სახელი. 1923 წელს იგი გიორგი ნიკოლაძის ჯგუფს უწევდა მეგზურობას ჯერ მყინვარწვერზე, შემდეგ კი იალბუზზე. პირველი საბჭოთა მთამსვლელის, ალ. ჯაფარიძის ჯგუფს კი — თეთნულდსა და უშბაზე, ანდირჩიზე, რაჭისა და აფხაზეთის მწვერვალებზე. შესანიშნავი მონადირის ლექსები ქართული ფოლკლორის საგანძურშია შესული. აი, ახლაც მისი სახლის ეზოდან ჩამავალი მზის შუქზე შევცქერით მყინვარწვერს და გვაოცებს მისი ნაირსახეობა. ვინ არ მოუხიბლია მყინვარწვერის ფონზე აღმართულ სამების ტაძარს თავისი შესანიშნავი კომპოზიციით. იგი ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა მთელ ხევში. მას დიდი როლი უთამაშია, როგორც ხევის, ასევე საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიაში.

სოფელ გერგეტის თავზე ვიწრო, ოდნავ შესამჩნევ ბილიკს ავუყევით, ჰაერში ყვავილთა გამაბრუებელი სურნელებაა. რაც უფრო მაღლა მივიწევთ, მით უფრო ჭირს სუნთქვა. ხშირად ვისვენებთ. მალე ტყეში შევედით და სამების ტაძარს ზურგში მოვექეცით. აქედან გზა საბერწესკენ მიემართება. იწყება ყინულის სამფლობელო — გერგეტის ყინვარი. 3400 მეტრის სიმაღლეზე ყაზბეგის მეტეოროლოგიური სადგურია, რომლის დაარსების ორგანიზატორები იყვნენ მ. გიორგაძე, ა. ჯაფარიძე და დ. ფურცელაძე. პირველი მოზამთრეებიც მთამსვლელები იყვნენ: დ. შარაშიძე, ი. კაზალიკაშვილი და ს. გვალია. მეტეოსადგურის ქვის შენობის აგებამდე მთამსვლელები დიდი ლოდის ქვეშ ათევდნენ ღამეს, ამ ლოდს იაგორას ნიში ჰქვია. ახლოს ბეთლემის ქვაბები და ფრიალო კლდეში გამოკვეთილი განდეგილის სამყოფელია, საიდანაც ყაზბეგის მუზეუმში ჩამოიტანეს ხის კარი და რკინის ჯაჭვი. გერგეტის სამებისკენ მიმავალ აღმართს ავუყევით, ეკლესიის გალავანი აღუდგენიათ. შესასვლელი მას ახლა სამრეკლოდან აქვს. ჩვენს წინ შათი კლდოვანი ქედია, მის უკან თავი ამოუყვია „შინოს" დათოვლილ მწვერვალს. სამების მთაზე მალე ამუშავდება საბაგირო გზა. უკანასკნელად შევცქერით მყინვარწვერსა და მის ახლოს აღმართულ ორ წვერს — აბანოს მყინვარს.

სოფელი საქართველოს სამხედრო გზიდან 3 კილომეტრითაა დაცილებული. ციხე აშენებულია შუა საუკუნეებში შიოლა ღუდუშაურის მიერ. იგი კლდოვან ბორცვზე დგას. სოფელი სოფელს მოსდევს. სოფელ ახალციხეში IX საუკუნის ბაზილიკა დგას, რომლის ერთადერთი სამკაულია ქვის მოჩუქურთმებულჩარჩოიანი სარკმელი. მოპირდაპირე ფერდობზე სოფელი ქოსელია გაშენებული. მდინარე სნოს მარცხნიდან ართხმოს წყალი ერთვის. ამ ხეობაში უკანასკნელ სოფელ კარკუჩასთან სამანქანო გზა წყდება. ხეობის ბოლომდე მისვლა მთის ვიწრო ბილიკით ან მდინარე სნოს დატოტვილი კალაპოტით შეიძლება.

ჩვენი შემდეგი მარშრუტი ართხმოს ხეობისკენ მიდის. სოფელ ახალციხესთან გზა მდინარის კალაპოტში მიემართება, შემდეგ კი თანდათანობით მაღლა იწევს, ვიწრო ბილიკით მთის ფერდობს მიჰყვება. მესამე კილომეტრზე, ქვევით, მდინარის მარჯვენა ნაპირას, ნასოფლარი „მიგუდა" მოჩანს, ხოლო მეექვსე კილომეტრზე — სოფელი ართხმო, სადაც მხოლოდ ერთი ქალიღა ცხოვრობს — ხევსური მზექალა.

სნოს ხეობის ბოლოს, „ნადარბაზევთან", იქ სადაც ჯუთასი და ბურსაჭირის წყალი ერთდება, ორი გზა იღებს სათავეს. ბურსაჭირის წყალი ვიწრო ხეობიდან გამოდის, ამ ხეობით მიდის ბილიკი კავკასიონის ძირითადი ქედის ბურსაჭირის უღელტეხილზე (ზღვის დონიდან 2370 მ), იქიდან კი გადადის გუდამაყრის, შავი არაგვის ხეობაში. ეს არაგვი ჭაუხების მასივიდან მოედინება, სადაც შავი ფიქალი წყალს შავად ფერავს. ბურსაჭირის გადასავალზე ერთკილომეტრიანი მინდორია ცივი წყაროებით. აქ შეიძლება ღამე კარვებში გაათიონ ლაშქრობის მონაწილეებმა. უღელტეხილიდან ბილიკი ეშვება სოფელ ბურსაჭირში (ნასოფლარში), საიდანაც შვიდი კილომეტრის მანძილზე გზა სოფელ ჩოსამდე მდინარის კალაპოტში მიემართება. სოფელ ჩოსიდან სამანქანო გზით ფასანაურამდე ოცი კილომეტრის სავალია.

ნადარბაზევიდან მეორე ფართო გზა მდინარე ჯუთას ხეობას მიუყვება. სოფელ ჯუთამდე ექვსკილომეტრიანი აღმართის გავლას ორი საათი ჭირდება, ჯუთას თავს ადგია აღმოსავლეთ კავკასიონის მშვენება — ჭაუხი.

ჭაუხების მასივი რამდენიმე კლდოვანი მწვერვალისგან შედგება. ორ მათგანზე პირველად ავიდნენ ინგლისელი მთამსვლელი ქალი ი. კამერონი და ნ. ქირიკაშვილი. შემდეგში სხვა მწვერვალებზე იყვნენ ორჯონიკიძელები ი. ანტონოვიჩი, პ. ზოლოტარიოვი, ვ. ზაიკაშვილი, ვ. გალუსტოვი, ნ. კოზლოვა,

1943 წელს ალპინიზმის ინსტრუქტორებს (დ. ჯაფარიძე, ო. გიგინეიშვილი, ქ. ონიანი, გ. რაიზერი, ვ. ბელეცკაია, ნ. ცნობილაძე, დ. გოზალიშვილი, ა. მჟავანაძე, ი. სოსინა) დაევალათ უმაღლეს მწვერვალზე სატრანგულაციო წერტილების დადგმა. გუდამაყრის ხეობა დალაშქრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (ო. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით) და მოზარდ მთამსვლელთა სპორტული სკოლის (ნ. კანკავას მეთაურობით) მთამსვლელებმა. მაგრამ ჭაუხები კვლავ ამოუცნობი და ხელშეუხები რჩებოდა. და აი, შესანიშნავმა ექვსეულმა (სპორტის ოსტატები შ. მღრიანაშვილი, ო. ხაზარაძე, გ. აბაშიძე, დ. დანგაძე, ს. ბარლიანი, შ. გაბისიანი) გაიარა კლდოვანი მასივი ურთულესი ქარაფოვანი კლდეებითა და სხვადასხვა სირთულის მწვერვალებით.

ჯუთიდან უკან უფრო სწრაფად ვეშვებით. ნადარბაზევში, მდინარის თავზე ბილიკს მივუყვებით. ფეხქვეშ შავი ფიქალი-ჭაჭი ცურავს. ყაზბეგში შებინდებისას ჩავედით.

გასცდებით თუ არა ყაზბეგის ხიდს, უმალ დარიალის ხეობაში აღმოჩნდებით. მდინარის ხმა ქვევიდან გუგუნივით მოისმის, გზა კი სულ ზევით მიემართება. ყაზბეგიდან მეთხუთმეტე კილომეტრზე დარიალის ხეობაში თერგს მარჯვნიდან რძესავით თეთრი მდინარე ხდე ერთვის. ხდეს ხეობაში სხვადასხვა სირთულის მწვერვალებია: პიონერთა სასახლის პიკი, რუსთავი, შინო, ბორის ძნელაძისა და ს. ჯაფარიძის სახელობისა... მთამსვლელები ხშირად მასობრივად ადიან მწვერვალ გორზე და ყუროზე. ამ ხეობის დასაწყისში, ზედ საქართველოს სამხედრო გზასთან, ჰესთან, ხდეს წყლის მეორე მხარეს მდებარეობს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სამაშველო სამსახურის შენობა და თავშესაფარი. ახლა აქ მოზარდ მთამსვლელთა სპორტული სკოლაა დაბანაკებული, რომელსაც კლდეზე ცოცვაში აქვს გამართული შეჯიბრება.

იქვე სოფელ ლარსთან მთავრდება საქართველოს საზღვარი და იწყება ჩრდილოეთ ოსეთი...

დ. გოზალიშვილი.

თუ წინსვლა გწყურია

ახალგაზრდა სპორტსმენის პორტრეტი

●

ნაცნობი სპორტსმენები ვანოს ურჩევდნენ ყვარელში არ წასულიყო: შეიძლება შენმა გამოჩენამ სულ წაახდინოს ბიჭიო. მეორენი სხვას ეუბნებოდნენ: ჭაბუკი ვაჟკაცებს ერკინება, მამა ხარ, დაგინახავს და გამხნევდებაო.

მაშინ ბესიკ წოწკოლაური საქართველოს პირველობის მართლაც ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო ასპარეზობაში, რომელიც ასაკის განუსაზღვრელად მოეწყო, ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ იყვნენ საქართველოს ჩემპიონები, საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი. ბესიკმა ამ ტურნირში წარმატებით იასპარეზა — საქართველოს ჩემპიონი და სპორტის ოსტატი გახდა. ეს 17 წლის დუშელი ჭაბუკისთვის დიდი წარმატება იყო.

სულ სამი წელია, რაც ბესიკ წოწკოლაური საჭიდაო ხალიჩაზე გამოჩნდა. 1974 წელს დუშეთის პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო ძიუდოში ვარჯიში. პირველ [illegible] ჭაბუკს რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა, საქართველოს ჩემპიონმა ფეიქრიშვილმა გააცნო. მომდევნო წელს 1960-61 წლებში დაბადებულ მოსწავლეთათვის გამართულ პირველობაში ბესიკი ჩემპიონი გახდა.

1976 წელს ბესიკი მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილეა. აქ მან მესამე ადგილი დაისაკუთრა და, როგორც პერსპექტიული სპორტსმენი, საქართველოს ნაკრებში ჩაირიცხა. იმავე წელს ბესიკმა საშუალო სკოლა დაამთავრა, წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მალე ბესიკს ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის პირველობაზე ვხედავთ, სადაც 6 შეხვედრიდან 5 მოიგო.

— ბესიკი ორიგინალური ხელწერის მოჭიდავეა, — ასე დაახასიათა ჭაბუკი სპორტსმენი მისმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა. ახალგაზრდა ძიუდოისტმა კარგად იცის, რომ უფრო სერიოზული წარმატებებისთვის ჯერ კიდევ ბევრი შრომა და გარჯაა საჭირო...

დ. ხოსროშვილი.

[illegible]

✦ ცხინვალი

„კოლმეურნის" საოლქო საბჭოს „ოქროს თავთავის" თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგორის რაიონის წინაგრისა და ცხინვალის რაიონის თამარაშენის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა წინაგრის გუნდმა და „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თასი მოიპოვა.

ვ. მელქოევი.

საბჭოთა ძალოსნების წარმატება

პოდოლსკი. „ოლიმპიადა"-76-ის შემდეგ 1 სექტემბერს ფიცარნაგზე პირველად გამოვიდა სახელგანთქმული საბჭოთა ძალოსანი ვ. ალექსეევი და მეორე მძიმე წონით კატეგორიაში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: აკრა 255,5 კგ და ორჭიდის ჯამში — 445 კგ დააგროვა. პირველი შედეგით მან 0,5 კგ-ით გააუმჯობესა თავისი უწინდელი მიღწევა, ხოლო მეორეთი 2,5 კგ-ით გადააჭარბა ბულგარელი ათლეტის ზ. პლაჩკოვის რეკორდს. ალექსეევმა იასპარეზა პოდოლსკში საბჭოთა ძალოსანთა ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც ახლა შტუტგარტის (გფრ) მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება.

გროზნოელმა ა. საიდულაევმა (მეორე ქვემძიმე) გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. მან აიტაცა 175,5 კგ. ეს შედეგი 0,5 კგ-ით სჯობს ხოლმსკელი ა. კოზლოვის მიღწევას.

საკავშირო რეკორდს გადააჭარბა დნეპროპეტროვსკელმა ს. რახმანოვმა (მეორე მძიმე წონა) — 195,5 კგ. მან 0,5 კგ-ით გააუმჯობესა თავისივე მიღწევა. (საქდესი).

ჩემპიონატები

ბუქარესტში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. მასპინძელთა გუნდის წევრმა ლ. ჯუშკემ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობაში 576 ქულა მოაგროვა. ოქროს მედალი მოიგო და 3 ქულით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონს უ. პოტეკს (გდრ) ეკუთვნოდა.

...და მაინც მეორე

თანამედროვე ხუთჭიდი

ბუდაპეშტი, 1 სექტემბერი. უნგრეთის დედაქალაქში გამართულ თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრების ფინიშზე იშვიათ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. პროგრამის ბოლო სახეობა — მძლეოსნური კროსი ორ ეტაპად ტარდებოდა. პირველი ეტაპის (დილით ჩატარდა) შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ფრუნზელმა ათლეტმა ა. ტარევმა, რომელმაც ხუთი სახეობის ჯამში 5296 ქულა მოაგროვა. საღამოს ეტაპის შემდეგ ტარევს დაეწია უნგრელი სპორტსმენი ტ. ბალოგი, რომელმაც საბოლოოდ თავი მოუყარა 5296 ქულას. პირველობა ხვდა ბელოვს, რომელსაც უკეთესი შედეგი ჰქონდა რბენაში. ასეთია წესი...

საბჭოთა პროფკავშირულმა გუნდმა, რომლის ღირსებასაც იცავდა ტარევი, 14925 ქულით II ადგილი მოიპოვა. გაიმარჯვა უნგრეთის სპორტსაზოგადოება „დოჟას" ნაკრებმა — 15086 ქულა. (საქდესი).

ტრადიცია გრძელდება

●

არდადეგების დღეებში

●

უნგრეთისა და საქართველოს ტანმოვარჯიშეთა სამატჩო შეხვედრები უკვე კარგა ხანია ტრადიციად იქცა.

წლეულს უკვე მეთოთხმეტედ გაიმართა ასეთი მატჩი და მან, როგორც ყოველთვის, თავისი წვლილი შეიტანა ორივე ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა დაოსტატებასა და მათ ურთიერთდაახლოებაში.

უნგრეთში ამას წინათ გამართული მატჩი იმითაც იყო შესანიშნავი, რომ ამჯერად საქართველოს ნაკრები, რომელიც დაკომპლექტდა ახალგაზრდა, 13-14 წლის ტანმოვარჯიშეებით, ფაქტიურად პირველად გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. უნგრეთის ნაკრები იმხანად უნივერსიადისთვის მზადების ბოლო ეტაპს გადიოდა. ამდენად ეს სამატჩო შეხვედრა მათთვისაც მეტად სასარგებლო უნდა გამომდგარიყო. სარბიელზე მასპინძელთა გუნდში ფაქტიურად ოლიმპიელები გამოდიოდნენ, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონი ტაიჭზე ვარჯიშში ზოლტან მადიარი.

ჩვენი გუნდების წევრთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ გამოცდილ და სახელოვან მეტოქეებს და, თუმცა გუნდურ შეჯიბრებაში მასპინძლებს დაუთმეს პირველობა (ვაჟები 269,3:265,8, ქალები 187,1:182,1), ცალკეულ იარაღებზე — (ვაჟებმა, თავისუფალ ვარჯიშში, რგოლებზე, ღერძზე) მასპინძლებზე უკეთესი შედეგიც აჩვენეს.

გარდა ამისა, როგორც სპეციალისტთა, ასევე მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ჩვენი გოგონების მიერ შესრულებულმა ზერთულმა ელემენტებმა და ნაერთებმა (თავისუფალ ვარჯიშში, ორძელზე, ხტომებში). ხოლო სპორტის ოსტატმა ვახტანგ კევლიშვილმა საერთო ჯამში ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგით პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ეს ტრადიციული შეხვედრები იმით არის აღსანიშნავი, რომ გათვალისწინებულია ფართო კულტურული პროგრამა: შეხვედრები, საუბრები, ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა გაცნობა. ამ მხრივ არც ბოლო მატჩი იყო გამონაკლისი. მასპინძლებმა და განსაკუთრებით უნგრეთის ნაკრები გუნდების სახელმწიფო მწვრთნელმა შანდორ ურვარიმ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სტუმრებს სასარგებლოდ და შინაარსიანად გაეტარებინათ დღეები მოძმე უნგრეთის მიწა-წყალზე.

ბუდაპეშტის ღირსშესანიშნაობანი, ბალატონის ტბაზე დასვენება, მეშახტეთა ქალაქ შალგოტარიანის საწარმოთა დათვალიერება, მთიან ადგილზე დაბა შალგოს ხელმძღვანელ კომკავშირულ მუშათა სკოლის ბინადართა გაცნობა და სხვა კულტურული ღონისძიებები მართლაც რომ წარუშლელ შთაბეჭდილებად დარჩა სამატჩო შეხვედრის ყველა მონაწილეს.

• • •

სურათებზე: ბუდაპეშტი — ევროპის ერთ-ერთი შესანიშნავი ქალაქი; ულამაზესი ხიდები აერთებს ბუდას პეშტთან; ავტოსტრადა ბუდაპეშტი — ბალატონი; მეშახტეთა ქალაქი შალგოტარიანი, სადაც გაიმართა სამატჩო შეხვედრა; შეჯიბრების საზეიმო გახსნა; პირად პირველობაში გამარჯვებული ვ. კევლიშვილი; გულღია მასპინძელი შანდორ ურვარი შეჯიბრებაზე დიქტორად მოგვევლინა; უნგრეთის ოლიმპიური გუნდის წევრები (მარცხნიდან) დონატი, მადიარი, ბანრევი; ოლიმპიური ჩემპიონი ზოლტან მადიარი ასრულებს ტაიჭზე ვარჯიშს, რომლისთვისაც მან 9,9, ქულა დაიმსახურა; ქალთა შორის შეჯიბრებაში გამარჯვებული ეგერვარი.

ა. ბარქაიას ტექსტი და ფოტო.







ობიექტივის ორი გაელვება

ამ ორ ფოტოს შუა არა ერთი და ორი წელიწადი ჩამდგარა. წლებს თავისთავად, ადრე თუ გვიან მაინც მოჰყვება ხოლმე სახეცვლილება. სპორტსმენის მაისური ჩვეულებრივმა ტანისამოსმა შეცვალა, დაუფარავად გამოხატული შინაგანი ემოციები — თავდაჯერილობამ, რიგითი ჯარისკაცის როლი — მეთაურის მოვალეობამ, უშუალოდ ბრძოლა — ფიქრმა, კალათბურთელი ლევან მოსეშვილი — მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა...

და მაინც, უცვლელი დარჩა ლევანის დამოკიდებულება საყვარელ გუნდთან, ადამიანური ბუნება და თუნდ ეს, ამ ორ ფოტოზე აღბეჭდილი უბრალო ჟესტიც კი...

რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მანევრული თამაშით

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 21 აგვისტო.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „პოლიტეხნიკი" (კრასნოიარსკი) 26:4 (14:0).

„ლოკომოტივი": ცხვედიანი, ცისკარიშვილი, ხარშილაძე, ღიბრაძე, ჯვარიძე (აბულაძე), დოლიძე, ბენდიაშვილი, კილასონია, გაბაძე, ანთაძე, სალთხუციშვილი, ტარიელაშვილი, ლიპარტელიანი, გიორგაძე, სუთიაშვილი.

„პოლიტეხნიკი": გროცკი, ჩუპროვი, კოკოვი, ტელნიაკოვი, სოლოვიოვი, სუპრენოვი, ნაუმენკო, საბინინი, ივაშკინი, ბიკოვი (ლესნენკო), კარპოვი (სოლომატოვი), დორჩენკო, გრაჩოვი, მიაჩინი, რიაბცევი.

მსაჯი ვ. მასლოვი (მოსკოვი).

თუ გუნდების გამოცდილების მიხედვით ვიმსჯელებთ, იმდღევანდელი მეტოქეების ძალები აშკარად არათანაბარი იყო. რკინიგზელები კარგა ხანია უმაღლეს ლიგაში თამაშობენ, რამდენჯერმე საპრიზო ადგილებიც მოიგეს, ციმბირელი სტუდენტები კი ამ ლიგაში წლეულს პირველად გამოდიან, მაგრამ ამის მიუხედავად, მათ შეძლეს „ლოკომოტივის" შინ დამარცხება. ბუნებრივია, მასპინძლებს რევანშის დიდი სურვილი ჰქონდათ.

თუმცა მთელი ღამის ნაწვიმარ, ატალახებულ მოედანზე ტექნიკური თამაში ძნელი იყო, „ლოკომოტივმა" პირველი წუთებიდანვე შეძლო ბრძოლის სადავეების ხელთ ჩაგდება.

სტუმრებმა ორგანიზებული დაცვით უპასუხეს შეტევებს, რომელიც ხან ერთ, ხან მეორე ფლანგზე იწყებოდა. რკინიგზელები ახლა კარგ სპორტულ ფორმაში არიან. ისინი შარშანდელივით, მატჩის წინ შემუშავებული გეგმით, შაბლონურად კი არ თამაშობენ, არამედ სათანადო გადაწყვეტილებას მინდორზევე იღებენ და ტაქტიკას სიტუაციის შესაბამისად ცვლიან.

კრასნოიარსკელებმა მათ მანევრებს ვერაფერი მოუხერხეს და როცა გ. სუთიაშვილის მიერ „ქალაქის" აღებას აღარაფერი აკლდა, იგი აშკარად აკრძალული ხერხით შეაჩერეს, რისთვისაც მსაჯმა სამართლიანად დანიშნა ტექნიკური ჯარიმა — კარი აუღებლად ჩათვალა.

მაყურებელს ამ მატჩიდან ყველაზე მეტად მაინც ორი მომენტი დაამახსოვრდება: 33-ე წუთზე თ. სალთხუციშვილმა შეტევა თავისი ნახევრიდან დაიწყო. მან საგრძნობ მანძილზე ირბინა, მერე ბურთი ო. ლიპარტელიანს გადააწოდა, თავისუფალ ადგილას გაძვრა, შესანიშნავი პასი მიიღო და კომბინაციაც დააგვირგვინა. აღსანიშნავია, აგრეთვე, ლიპარტელიანის სოლო რეიდი 44-ე წუთზე. ამ დროს იგი ბურთს მოედნის ცენტრთან დაეუფლა და რამდენიმე მოწინააღმდეგის მოტყუებით კრასნოიარსკელთა „ქალაქი" აიღო.

ამით, როგორც იტყვიან, შეხვედრის ბედი უკვე გადაწყდა (მანამდე მ. ანთაძემ 24-ე წუთზე, სუთიაშვილმა 42-ე წუთზე „დაამიწეს" ბურთი. ერთხელ გიორგაძემ რეალიზაცია გამოიყენა). ანგარიში გახდა 22:0.

ეს ცხადია, ერთი გუნდის აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს, მაგრამ „ლოკომოტივსაც" ჰქონდა დასანანი შეცდომები, როცა ჯერ შესვენებამდე ანთაძის მიერ უხეიროდ მოგერიებული ბურთით კრასნოიარსკელებმა კინაღამ მასპინძლების „ქალაქი" აიღეს, მეორე ტაიმში კი დ. კილასონიას შეცდომა მოწინააღმდეგეებმა (ვ. გრაჩოვი) კარგად გამოიყენეს — 26:4. (მანამდე კ. აბულაძემ აიღო სტუმრების „ქალაქი").

ბოლო 15 წუთს ინიციატივას „პოლიტეხნიკი" ფლობდა. მათი იერიშების მოგერიებაში ა. ღიბრაძემ და დ. ცხვედიანმა გაფრთხილება მიიღეს.

„ლოკომოტივს" მორიგი შეხვედრა კვირას მოსკოვში „სლავასთან" აქვს.

ო. ივლოშვილი.

მარტოდმარტო ოკეანეში

ვარშავა. პოლონელი სპორტსმენი ქრისტინა ხოინოვსკა-ლისკევიჩი პირველი ქალია, რომელიც მარტოდმარტო მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო. მან დაძლია თავისი მარშრუტის ერთ-ერთი უძნელესი ეტაპი — მარჯნის ზღვაში დიდი რიფების რაიონი. იახტა „მაზურეკმა" გეზი ავსტრალიის პორტ დარვინისკენ აიღო.

მამაც მოგზაურთან კავშირს არ წყვეტს პოლონეთის პორტის გდინიას რადიოსადგური. აქ დაიწყო და აქვე დაასრულებს თავის მოგზაურობას მამაცი მეზღვაური ქალი.

(საკდესი).

კომპასითა და რუკით

ბუდაპეშტი. ბალატონის ტბის მიდამოებში მოეწყო ტრადიციული XI შეჯიბრება სპორტულ ორიენტირებაში „უნგრეთის თასზე". 5 დღის განმავლობაში გამარჯვებისთვის იბრძოდა 14 ქვეყნის 1800 სპორტსმენი. როგორც ორი წლის წინათ, ამჯერადაც კარგად იასპარეზა რიგელმა ალინა ზუკულემ. მან კვლავ მოიპოვა მთავარი პრიზი და გაუსწრო მასპინძელს — 1972 წლის მსოფლიო ჩემპიონს შარლოტა მონშპარტს. უძლიერესთა ათეულში შევიდა კიდევ ორი საბჭოთა სპორტსმენი — რიგელი ლაიმა ნაგლიენები და ლენინგრადელი ირინა სტეპანოვა.

ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა უნგრელმა ლასლო საბომ. ტალინელებმა უკუ ანნუსმა და ნიკოლაი იარევოიამ შესაბამისად VI და IX ადგილები დაიკავეს. (საკდესის კორ.).

მზად არიან

ლენინგრადის არმიის სპორტული კლუბის 50-მეტრიანი აუზი მზადაა სსრ კავშირისა და აშშ-ის მოცურავეთა და წყალში მხტომელთა პირველი მატჩისთვის, რომელიც დღეს და ხვალ ჩატარდება.

(საკდესი).

ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკის მოყვარულთათვის

გავაცნობთ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-20 ტურის მატჩებში გოლების ავტორებს.

„დინამო" (მოსკოვი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:1. ბურთები გაიტანეს: მოსკოველთაგან კაზაჩონოკმა (მე-6 წთ). და გერშკოვიჩმა (18), ტ. აბასოვმა (5).

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „არარატი" (ერევანი) 4:1. გოლების ავტორები არიან: რედკოუსი (25,70), რასპუტინი (42), გოლუბევი (90, პენალტით), ერევნელი ნ. პეტროსიანი (88).

„ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:0. გოლი გაიტანა სემიონოვმა (11).

„კარპატი" (ლვოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:0. ბურთი შეაგდო დუბროვნიმ (13).

ჩემპიონატის ბომბარდირთა სათავეში არიან დ. ყიფიანი და ო. ბლოხინი — 12-12 ბურთი. მომდევნო ადგილებზე არიან ი. ჩესნოკოვი (ცსკა) — 9, რ. ჩელებაძე, ვ. სტარუხინი („შახტიორი"), ა. იაკუბიკი (მოსკოვის „დინამო") — 7-7 ბურთი.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 2 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი"	19	11	6	2	30—12	28
„დინამო" კ.	18	12	3	3	30—14	27
„ტორპედო"	18	11	2	5	28—20	24
„დინამო" თბ.	19	10	3	6	30—22	23
ცსკა	19	7	9	3	27—21	23
„ზენიტი"	19	9	5	5	28—28	23
„არარატი"	19	8	4	7	26—21	20
„კრ. სოვეტ."	20	6	8	6	16—16	20
„კარპატი"	19	4	11	4	15—14	19
„დინამო" მ.	19	6	5	8	19—22	17
„დნეპრი"	19	5	7	7	18—21	17
„ჩერნომორ."	18	7	2	9	18—29	16
„ლოკომოტ."	17	2	8	7	10—17	12
„ზარია"	19	4	4	11	10—23	12
„ნეფთჩი"	20	2	7	11	18—29	11
„ქაირათი"	20	3	4	13	14—28	10

●

პირველი ლიგა

საკავშირო ჩემპიონატში I ლიგის გუნდებს შორის გაიმართა ორი მატჩი: „დინამო" (ლენინგრადი) — „პამირი" (დუშანბე) 1:1, „თერგი" (გროზნო) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0.

ჩემპიონატები, გუნდები, ლიდერები

გფრ

3 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში შეიქმნა საკმაოდ უცნაური ვითარება, როდესაც 4-4 ქულა ერთბაშად შვიდმა გუნდმა მოაგროვა. ესენი არიან დიუსელდორფის „ფორტუნა", „ფკ კიოლნი", „ჰამბურგერ შპორტფერაინი", ბრაუნშვაიგის „აინტრაქტი", „ფკ კაიზერსლაუტერნი", „შალკე 04" (გელზენკირხენი) და მიონხენგლადბახის „ბორუსია". ბურთების უკეთესი სხვაობის (10-5) გამო პირველ ადგილზეა „ფორტუნა", რომელმაც მესამე ტურში მძაფრ ბრძოლაში პირველი დამარცხება (4:2) აგემა „ბაიერნს" (მიუნხენი).

ამ ტურში აღინიშნა მეტად მოულოდნელი შედეგი — „კიოლნმა" საკუთარ მინდორზე ანგარიშით 7:2 მოუგო ბრემენის „ვერდერს".

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ინგლისელი კიგანი, რომელიც წლეულს „ოქროს ბურთის" უპირველეს პრეტენდენტად ითვლება, ჩინებულად შეეწყო თავის ახალ კოლექტივს „ჰამბურგერ შპორტფერაინს".

ჰოლანდია

3 ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ „ნეკ ნიიმეგენი" და ამსტერდამის „აიაქსი". 5-5 ქულა მოაგროვეს პსვ ეინდჰოვენმა" და „ვოლდენდამმა". როტერდამის „ფეიენოორდს" მხოლოდ 2 ქულა აქვს.

ბელგია

2 ტურის შემდეგ 4-4 ქულით ლიდერობენ ლიეჟის „სტანდარდი", „ვინტერსლაგი" და „ფკ ლოკერენი".

გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტ „ანდერლეხტსა" და ჩემპიონ „ფკ ბრიუგს" 3-3 ქულა აქვთ. „ანდერლეხტში" რამდენიმე ტურს გამოტოვებს რენსენბრინკი, რომელმაც ტრავმა მიიღო.

ეს რეკორდები უკანასკნელი როდია

კუბელმა ათლეტებმა ა. კასანიასმა და ა. ხუანტორენამ ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — კასანიასმა 110 მეტრზე თარჯრბენში (13,21), ხოლო ხუანტორენამ — 800 მეტრზე რბენაში (1.43,44).

...ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ალბერტო ხუანტორენა სიტყვაძუნწია, მაგრამ სტარტების წინა დღეს ღამის ორ საათამდე შეუძლია ისეირნოს სტუდენტთა ქალაქში, დილით კი გვიანობამდე იძინოს. შეკითხვებზე ძალიან თავშეკავებულად უპასუხებს. „იგი შეჯიბრების შემდეგ უნდა გენახათ, — თქვა ხუანტორენას მეგობარმა, მსოფლიოში ერთ ერთმა უძლიერესმა სპრინტერმა სილვიო ლეონარდმა, — მაშინ თქვენ გაიცნობდით სულ სხვანაირ ადამიანს, მხიარულს, საამოდ მოსაუბრეს".

...მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი კასანიასიც შეჯიბრების წინ შეკითხვებზე ძუნწად იძლევა პასუხს და ხუანტორენასავით ისიც უკიდურესად დაძაბულია. ლეონარდის ნათქვამი კასანიასზეც ვრცელდება, რაშიც დავრწმუნდით მათი ტრიუმფის შემდეგ მსოფლიო რეკორდსმენებთან საუბრის დროს.

— რას იტყვით კასანიასის მსოფლიო რეკორდის თაობაზე?

ხუანტორენა: „მისგან ამ შედეგს მოველოდი, ამიტომ სხვებზე ნაკლებად ვარ გაოცებული. ალეხანდრო ძალიან სერიოზულად ვარჯიშობდა და ეს დღეს რომ არ მომხდარიყო, სულერთია, ორი კვირის შემდეგ დიუსელდორფში მსოფლიო თასის გათამაშებაზე მოხდებოდა".

— თქვენ რა აზრის ხართ ხუანტორენას მსოფლიო რეკორდზე?

კასანიასი: „ძალიან მოხარული ვარ, რომ მან მიაღწია სასურველს, მით უმეტეს, რომ ვიცოდი როგორ უნდოდა მას ეს გაეკეთებინა სოფიაში".

— გაუმჯობესდება თუ არა ეს შედეგები უახლოეს დროში?

ხუანტორენა: „ეს რეკორდები უკანასკნელი არ არის, მაგრამ ზუსტად არ შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს დაამყარებ რეკორდს. ამისთვის ბევრი რამაა საჭირო, კერძოდ, ძლიერი მეტოქეები".

— დიუსელდორფში თქვენ ძალიან ძლიერი მეტოქეები გეყოლებათ...

ხუანტორენა: „თქვენ გინდათ მკითხოთ დიუსელდორფში იქნება თუ არა რეკორდი? მე ვეცდები იქაც გავიმარჯვო. დრო კი წამზომი აჩვენებს".

— დიუსელდორფის შემდეგ?..

ხუანტორენა: „ჰავანაში მეგობრული არმიების სპარტაკიადა. იქ მე მონდობილი მაქვს შეჯიბრების ცეცხლის დანთება. ვეცდები ამჯერადაც გავიმარჯვო. ჩემთვის არ არსებობს „არამთავარი" სტარტები: თუ გამოვდივარ, მხოლოდ მოგებაზე ვოცნებობ".

— დიდი ხანია მძლეოსნობაში ვარჯიშობთ?

კასანიასი: „8 წელია. დავიწყე ჩვეულებრივი სპრინტით, შემდეგ უკვე ორი წელია — თარჯებზე გადავინაცვლე, რომელიც სწრაფად ავითვისე".

— რას იტყვით უნივერსიადაზე?

ხუანტორენა: „ჩემი ცხოვრების მანძილზე არ დამავიწყდება უნივერსიადები, 1973 წლის მოსკოვის უნივერსიადა იმიტომ, რომ იქ მავაღწიე პირველ დიდ წარმატებას, იქ მოვიპოვე ოქროს მედალი; სოფიისა კი — რეკორდისთვის. ორივე უნივერსიადა ჩემს მეხსიერებაში დარჩებიან იმიტომაც, რომ მოსკოვსა და სოფიაში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც შინ, მოხიბლული ვარ ამ ქალაქებით, თბილი და კეთილი ხალხით".

კასანიასი: „სპორტული თვალთახედვით უნივერსიადა ოლიმპიადისთვის მზადების კარგი ფორმაა".

— რას ფიქრობთ მოსკოვის ოლიმპიადაზე?

ხუანტორენა: „მე ვფიქრობ მასში მონაწილეობას. და არა მარტო მონაწილეობას, არამედ გამარჯვებას".

კასანიასი: „ოლიმპიადა-80 ჩემს გეგმაშია. საბჭოთა დედაქალაქში მისი ჩატარება სოციალისტურ ქვეყნებში სპორტის ტრიუმფის შედეგია".

...მომავალი ეკონომისტები ხუანტორენა და კასანიასი „სოფელში" მიმავალ ავტობუსში ისხდნენ, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, იცინოდნენ. ამ საღამოს ყველაზე მხიარული იყო კუბის გუნდის ავტობუსი...

რეკორდსმენებს უხაროდათ, რომ სიხარული მოუტანეს ხალხს.

ა. გორბუნოვი,
ა. ლევინსონი.
(საკდესის სპეც. კორ.).

რედაქტორი ა. ბასილაია.



სპორტის მოყვარულებო!

სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელში სამამულო წარმოების ტელევიზორების ფართო ასორტიმენტია. შეიძინეთ ტელევიზორი და თქვენ უამრავი საინტერესო სპორტული ასპარეზობის მოწმე გახდებით. ცისფერ ეკრანზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამართულ ბევრ სპორტულ შეჯიბრებას იხილავთ.

ეწვიეთ ჩვენს მაღაზიებს!

ცეკავშირის გამგეობა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71; 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02263